სამოქალაქო იდეა

ნოემბერი
2020

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კომპანიები საქართველოში / მონიტორინგის ანგარიში #4

ტბეა კო., ლტდ.
საქართველოში







სამოქალაქო იდეა

სამოქალაქო იდეას შესახებ

სამოქალაქო ინიციატივა დემოკრატიული და ევროატლანტიკური არჩევნისთვის- სამოქალაქო იდეა საქართველოში დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც გლობალურ საკითხებზე მუშაობს. ორგანიზაციის მანდატი ემსახურება დემოკრატიული და ევროატლანტიკური არჩევანის რეალობად ქცევას, ყოველ მოქალაქემდე მიტანას და ინსტიტუციონალიზაციას.

დემოკრატიული და ევროატლანტიკური არჩევანი,
ეს არის თავისუფალი, სამართლიანი, თანასწორობაზე დაფუძნებული სახელმწიფო, სადაც კანონის უზენაესობით შეიარაღებული მოქალაქეები უსაფრთხოდ და დაცულად გრძნობენ თავს.

სამოქალაქო იდეა აქტიურად აკვირდება ჩინეთის მზარდ გავლენებს საქართველოში. ამ თვეში ორგანიზაციამ გამოაქვეყნა ანგარიში სახელწოდებით "ვინ განსაზღვრავს ცივი ომის შემდგომი მსოფლიოს დღის წესრიგს? ჩინეთის გავლენის ოპერაციები აკადემიაში, მედიასა & არასამთავრობო სექტორში: საქართველოს მაგალითი", რომელიც აფასებს ჩინეთის კომუნისტური პარტიის გავლენის ოპერაციებს მედიაში, აკადემიასა და სამოქალაქო საზოგადოებაში. სამოქალაქო იდეა, ბოლო სამი წელია იკვლევს და აკვირდება ჩინეთის საქმიანობას საქართველოში, თუმცა კვლევა ასევე ეფუძნება სხვა ქვეყნებში მსგავსი პრაქტიკის შედარებითი ანალიზს. დღეს ჩინეთის საქმიანობა საქართველოში პირდაპირი, ხილული და მყისიერი საფრთხის შემცველი არ არის, თუმცა რესპექტაბელური და ავტორიტეტული ორგანიზაციების, ჩვენი პარტნიორი ქვეყნების უსაფრთხოების სამსახურების, ევროკავშირის მრავლობითი ორგანიზაციების კვლევების, რეკომენდაციებისა და გადაწყვეტილებების იგნორირება საქართველოს ხელისუფლების მხრიდან კიდევ ერთი ნათელი მაგალითია მყარი საგარეო ორიენტირების მოშლისა და ქვეყნის განვითარების და გრძელვადიანი წარმატების შესახებ ბუნდოვანი ხედვის თაობაზე.

TBEA 特变电工

სარჩევი

რას წარმოადგენს ჩინური კომპანია
TBEA Shenyang Transformer Group 5

TBEA საქართველოში 6

TBEA საერთაშორისო „რეპუტაცია“ ფაქტებით 10

TBEA აზიაში 11

TBEA და ყირგიზეთის რეპუბლიკა 11

TBEA და ტაჯიკეთის რესპუბლიკა 13

TBEA აფრიკაში 14

TBEA და გამბია 14

TBEA-ს ლობისტები ჩინეთის ხელისუფლება 15

დასკვნა 16

ბიბლიოგრაფია 17

TBEA-სთან დაკავშირებული დარღვევების

გლობალური თაიმლაინი

2009 2009 წელს -ის ენერგეტიკისა და მრეწველობის სამინისტრომ და TBEA– მ ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს დუშანბეში 200 მეგავატიანი ნახშირის ელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ (გარდა ამისა მემორანდუმი მოიცავდა დამატებით ორ სხვა პროექტს რომლებიც არ განხორციელებულა), სადაც აღნიშნულია, რომ TBEA ელექტროსაგურის მშენებლობის სანაცვლოდ მიიღებს ნებართვას ოქროს მაღაროების დამუშავებაზე.

2012-2014 2012-2014 წლებში ელექტროსადგურ დუშანბე-2-ის მშნებელობის პროექტის პირველი ფაზის ხარჯების დასაფარად TBEA 特变电工 -მ თავად აიღო სესხი - ის ექსიმ ბანკისგან - 178 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით.

2014 2014 წელს კომპანია TBEA 特变电工 -მ, დუშანბეში ელექტროსადგურის მშენებლობის სანაცვლოდ, ნებართვა მიიღო ჩრდილოეთ -ში, სუგდის რეგიონში, ზემო კუმარგის ოქროს მაღაროების დამუშავებაზე. მანამდე კომპანიას მიენიჭა კონცესია აღმოსავლეთ დუობას მაღაროზე.

2014-2016 2014-2016 წლებში დუშანბე-2-ის მშნებელობის პროექტის მეორე ფაზის ხარჯების დასაფარად სესხი ექსიმ ბანკისგან უკვე არა TBEA 特变电工-მ, არამედ -ის მთავრობამ აიღო, 331 მილიონი დოლარის ოდენობით, და დაფარვის ვალდებულებაც თავად ტაჯიკეთის მთავრობამ იტვირთა.

June 2013 2013 წლის ივნისში ყირგიზეთში, -ის მთავრობის მიერ გაცემული სესხის საფუძველზე დაფინანსებული, 386 მილიონი დოლარის ღირებულების პროექტი - „Bishkek's Combined Heat and Power plant (CHP) Tebian Electric Apparatus Stock Co LTD (TBEA)-ს გადაეცა. პროექტის მშენებლობა 2018 წელს დასრულდა, თუმცა იმავე წელს, ელექტროსადგური გაფუჭდა, რის გამოც ბიშკეკის მოსახლეობის დიდ ნაწილს გათბობა და ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა -27 გრადუს ყინვაში. წინამდებარე სკანდალის შედეგად, -ის ორი ყოფილი პრემიერ მინისტრი Sapar Isakov და Jantoro Satybaldiev დააპატიმრეს.

February 2018 2018 წლის თებერვალში 200 მვა ავტოტრანსფორმატორის 40 მვა და 80 მვა ძალოვანი ტრანსფორმატორების შეფ მონტაჟით შესყიდვის მიზნით, სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას მიერ გამოცხადებულ ტენდერში (SPA180001664) გაიმარჯვა TBEA Shenyang Transformer Group Co., Ltd.-მა. შესყიდვის საბოლოო ღირებულებად განისაზღვრა 10`183`000.00 ლარი. ხელშეკრულება შესრულდა 9 თვის დაგვიანებით და მასში ორჯერ განხორციელდა ცვლილება.

July 2018 2018 წლის ივლისში 125 მვა ავტოტრანსფორმატორების, 80 მვა, 63 მვა და 40 მვა ტრანსფორმატორების შეფ მონტაჟით შესყიდვის მიზნით, სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას მიერ გამოცხადებულ ტენდერში (NAT180010206) გაიმარჯვა TBEA Shenyang Transformer Group Co., Ltd.-მა. შესყიდვის საბოლოო ღირებულებად განისაზღვრა 12`916`940.00 ლარი. ხელშეკრულებაში ორჯერ განხორციელდა ცვლილება.

September 28, 2020 2020 წლის 28 სექტემბერს -ის სახელმწიფოს მთავრობამ, რომელიც მოქმედებდა ენერგეტიკის სამინისტროსა და წყლისა და ელექტროენერგიის ეროვნული კომპანიის (NAWEC) მეშვეობით, ვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი პროექტი ელექტროენერგიის გადაცემასა და განაწილებასთან დაკავშირებით გადასცა TBEA-ს, რომელმაც 2017 წლის დეკემბერში გამბიის პრეზიდენტის ადამ ბაროუს -ში ვიზიტის ხარჯები 752,594.42 აშშ დოლარის ოდენობით დააფინანსა.

TBEA 特变电工

რას წარმოადგენს ჩინური კომპანია TBEA Shenyang Transformer Group

TBEA Shenyang Transformer Group მსხვილი ჩინური კომპანია TBEA Co. Ltd-ის შვილობილი კომპანიაა. თავად TBEA-ს ბრენდის ქვეშ გაერთიანებულია **მრავალი მცირე და მსხვილი ორგანიზაცია**, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, ძირითადად, ენერგო და სამშენებლო სექტორებში ოპერირებენ.

TBEA საკუთარ ოფიციალურ ვებ გვერდზე სიამაყოთ აცხადებს, რომ მისი ისტორია 75 წელს ითვლის და რომ **1938 წელს სწორედ ის იყო პირველი ძალოვანი ტრანსფორმატორის შემქმნელი ჩინეთში.** სინამდვილეში ისტორია განსხვავებულია და 1938 წელს **პირველი ძალოვანი ტრანსფორმატორი შექმნა არა TBEA-მ, არამედ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულმა კომპანიამ - „შენიან ტრანსფორმატორების ფაბრიკამ“ (Shenyang Transformer Factory (STF)),** რომელიც მოძველებული მენეჯმენტის გამო 1997 წლიდან მძიმე ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა და 2002 წელს შენიანის მუნიციპალურმა მთავრობამ სტრატეგიული ინვესტიციების ძებნა დაიწყო. მთავრობა საპარტნიორო ურთიერთობებზე მსხვილ საერთაშორისო კომპანია Siemens-სთან მუშაობდა, თუმცა ეს უკანასკნელი ტენდერში დაამარცხა Xinjiang Tebian Electric Apparatus Stock Co Ltd (TBEA)-მა. შესაბამისად, „შენიან ტრანსფორმატორების ფაბრიკა“ TBEA-მ შეიძინა და ჩაანაცვლა, რის შემდეგაც გახდა უდიდესი ტრანსფორმატორის დიზაინისა და წარმოების საწარმო ჩინეთში.

ეს ისტორია შესაძლოა ჩვენი კვლევისთვის შეუსაბამოდაც მოგეჩვენოთ, თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის კანონმდებლობა, მრავალმილიონიანი კონტრაქტების მინიჭების პირობად ხშირად გამოცდილებასა და კომპანიის ისტორიას უმნიშვნელოვანეს პირობად განიხილავს.

დღესდღეობით, **TBEA ჩინეთის მთავრობის მიერ საგარეო ეკონომიკური და ტექნიკური საქმიანობის განხორციელებაზე აკრედიტირებული საწარმოა.** მოგეხსენებათ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში საწარმოებისა და კომპანიების უდიდესი ნაწილი სახელმწიფო საკუთრებაშია, და ისინიც რომლებიც მეტნაკლებად კერძო მფლობელობაში არიან სახელმწიფოს მკაცრ რეგულაციებს ემორჩილებიან. იმპორტ-ექსპორტი სწორედ ასეთი რეგულირებადი სფეროა.

შესაბამისად, ზემოთნახსენები აკრედიტაციის ფარგლებში, TBEA-ს აქვს მთავრობისგან მინიჭებული უფლებამოსილება და შესაძლებლობა, განახორციელოს იმპორტ-ექსპორტი და ბიზნეს ურთიერთობები ჩინეთის საზღვრებს გარეთ. **TBEA-ს საქმიანობა ვრცელდება თითქმის ყველა კონტინენტზე, როგორც აზიაში, ისე ევროპაში, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში, ავსტრალიასა და აფრიკაში.** თუმცა უმწიკვლო რეპუტაციით არ მოირცევა და მისი სახელი, ხშირ შემთხვევაში, კორუფციულ გარიგებებთან არის დაკავშირებული. TBEA-ს საქმიანობა, ხელშეკრულებები და მათთან შემდგარი გარიგებები, რამდენიმე ქვეყანაში აღამასრულებელი ხელისუფლების თანამდებობის პირთა სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის მიზეზიც გახდა.

კვლევაში, საქართველოში TBEA Shenyang Transformer Group-ის საქმინოაბის განხილვის შემდეგ, ბევრი ასეთი შემთხვევის შესახებ მოგიყვებით.

TBEA საქართველოში

მიუხედავად შელახული საერთაშორისო რეპუტაციისა, TBEA-მ შეძლო ქართულ ბაზარზე შემოსვლა და სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ნდობის მოპოვება, **რომელიც ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის ერთ-ერთი მსხვილი მფლობელია (ქვეყანაში გადამცემი ქსელის მფლობელი სამი კომპანიაა).**

პირველად TBEA-ს აქტივობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონულ პორტალზე სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ მიერ 2017 წლის 07 აგვისტოს **გამოქვეყნებულ განაცხადზე (განცხადების ნომერი SPA170010812) გამოჩნდა,** რომელიც ავტოტრანსფორმატორის 220/110/10.5 კვ, 200 მვა (შეფ-მონტაჟით) შეძენის მიზნით გამოქვეყნდა და რომლის სავარაუდო ღირებულებაც 3 559 322 ლარს შეადგენდა.

ვაჭრობის შედეგად გამოვლინდა საუკეთესო შეთავაზება, რომელიც წარადგინა პრეტენდენტმა შპს „შორეთელი ჰოლდინგ გრუფ“-მა. **კომისიამ ამ უკანასკნელის სატენდერო წინადადების განხილვისას გამოავლინა სატენდერო დოკუმენტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან ტექნიკური შეუსაბამობა, რის შესახებაც გაუგზავნა შეტყობინება კომპანიას და განუსაზღვრა დრო ხარვეზის გამოსასწორებლად,** თუმცა, როგორც სააგენტოს ვებ-გვერდზე საჯაროდ განთავსებული ინფორმაციიდან ირკვევა, 2017 წლის 20 ოქტომბრის ოქმით, TBEA Shenyang Transformer Group Co., Ltd.-ის საჩივრის საფუძველზე, კომისიამ გააუქმა შპს „შორეთელი ჰოლდინგ გრუფ“-თან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც ხარვეზის გამოსწორების შესაძლებლობას ითვალისწინებდა და ამავე ოქმით ზემოხსენებული ტენდერი (SPA180001664) შეწყვეტილად გამოაცხადა. შეწყვეტის მიზეზად კი დასახელდა შესყიდვების მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდა და შესყიდვის ობიექტების ტექნიკური პარამეტრების არსებითი ცვლილება.

ზემოხსენებული ტენდერის და მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების კანონიერებისა და სამართლიანობის შესაფასებლად, მნიშვნელოვანია TBEA Shenyang Transformer Group Co., Ltd.-ის საჩივარის განხილვა, ვინაიდან, სწორედ ეს უკანასკნელი გახდა შპს „შორეთელი ჰოლდინგ გრუფ“-ის დისკვალიფიკაციის ძირითადი საფუძველი. საჩივარი ეფუძნებოდა იმ გარემოებას, რომ შპს „შორეთელი ჰოლდინგ გრუფ“-ის მიერ შეთავაზებული ტრანსფორმატორის ტექნიკური მონაცემი არ შეესაბამებოდა შემსყიდველის სატენდერო დავალებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, კონკრეტულად კი - ტექნიკური სპეციფიკაციის ცხრილში მაღალი შემყვანების ნომინალური დენის მოთხოვნილი მოცულობა იყო 2000 ა, შპს „შორეთელი ჰოლდინგ გრუფ“-ს კი მითითებული ჰქონდა 1250 ა. ამ გარემოების საფუძველზე TBEA Shenyang Transformer Group Co., Ltd-მ, საჩივრის ფარგლებში მოითხოვა სატენდერო კომისიის სხდომის N3 ოქმი 29.09.2017-ის გაუქმება და შპს „შორეთელი ჰოლდინგ გრუფ“-ის დისკვალიფიკაცია.

შემსყიდველმა ორგანიზაციამ - სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ აღიარა სატენდერო დოკუმენტაციის დაზუსტების დროს დაშვებული შეცდომა და დაეთანხმა საჩივარს, **რაც, ფაქტობრივად TBEA-ს პირველი მოთხოვნის - სხდომის ოქმის გაუქმების პირდაპირი საფუძველი გახდა.** რაც შეეხება მეორე მოთხოვნას - შპს „შორეთელი ჰოლდინგ გრუფ“-ის დისკვალიფიკაციას, იგი დამოკიდებული იყო შპს „შორეთელი ჰოლდინგ გრუფ“-ის პასუხსა და სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული

დავების განხილვის საბჭოს დასაბუთებულ გადაწყვეტილებაზე. შპს „შორეთელი ჰოლდინგ გრუფ“-მა განაცხადა, რომ მათი პროდუქციის დიაპაზონი 1250-დან 2000-მდეა, რისი დამადასტურებელი დოკუმენტებიც გააჩნიათ. მიუხედავად ამისა, საბჭომ შპს „შორეთელი ჰოლდინგ გრუფ“-ის მიერ წარმოდგენილი დასაბუთება მხედველობაში არ მიიღო და შესაბამისად, მოხდა მისი დისკვალიფიკაცია.

თავის გადაწყვეტილებაში საბჭოს არ დაუსაბუთებია დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება, არ უმსჯელია ფაქტობრივ გარემოებებზე. კონკრეტულად კი, საბჭოს არ განუმარტავს რატომ გამოიწვევდა შპს „შორეთელი ჰოლდინგ გრუფ“-ის მხრიდან მაღალი შემყვანების ნომინალური დენის მოცულობის დაზუსტება წინადადების ფასის გაზრდას ან/და ტექნიკური დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას. აღსანიშნავია, რომ სხვა ტენდერებში, მაგალითად ელექტრონულ ტენდერში (#SPA180001664)-ში, რომელიც ასევე ელექტროძრავების, გენერატორებისა და ტრანსფორმატორების კატეგორიას განეკუთვნებოდა და დაახლოებით იგივე ტიპის პროდუქციის შესყიდვის მიზნით გამოცხადდა, სატენდერო კომისიამ **TBEA Shenyang Transformer Group Co., Ltd.-ს სატენდერო წინადადების დაზუსტების შესახებ შეტყობინებაში მიუთითა, რომ უქმი სვლის დენის შემოთავაზებული მნიშვნელობა, ≤0,6%, არ შეესაბამებოდა მოთხოვნას ≤ 0,5%** და TBEA-ს მისცა ამ მონაცემის შეცვლის უფლება, რითაც ამ უკანასკნელმა შეძლო ტენდერის მოგება. მაშასადამე, გამოდის რომ **ერთ შემთხვევაში, შპს „შორეთელი ჰოლდინგ გრუფ“-ს არ მიეცა საშუალება, დაეზუსტებინა პროდუქციის მონაცემის დიაპაზონი, ხოლო მეორე შემთხვევაში TBEA Shenyang Transformer Group Co., Ltd.-ს მიენიჭა ეს პრივილეგია.**

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ზემოთ განხილული შეწყვეტილი ტენდერის ნაცვლად გამოცხადებულ ტენდერში SPA180001664 **შეიცვალა შპს შორთელი ჰოლდინგ გრუპის დისკვალიფიკაციის მიზეზად განსაზღვრული ტექნიკური სპეციფიკაციის მონაცემი - მაღალი შემყვანების ნომინალური დენის მოცულობა და ნაცვლად 2000-ისა განისაზღვრა ≥ 1200 ა-თი.** აღსანიშნავია, რომ ახალ ტენდერში გაიზარდა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, წინა შეწყვეტილ ტენდერთან შედარებით. მაგალითად, პირველ (შეწყვეტილ) ტენდერში მონაწილეობის მსურველებს მოეთხოვებოდათ ინფორმაციის წარდგენა ანალოგიური პროდუქციის წარმოებაზე მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილების შესახებ, ხოლო 2018 წლის 08 თებერვალს გამოცხადებულ ტენდერში მოთხოვნილი იყო მინიმუმ 10 წლიანი გამოცდილება. საკვალიფიკაციო მოთხოვნების ამგვარ ცვლილებაზე შემსყიდველს არ გაუკეთებია ახსნა-განმარტება. საბოლოოდ ტენდეტში TBEA-მ გაიმარჯვა.

ხელშეკრულების შესაბამისად, განსაზღვრული სამუშაო 2019 წლის 31 ოქტომბრამდე უნდა დასრულებულიყო, თუმცა შესყიდვების ელექტრონულ პორტალზე ხელშეკრულების სტატუსის მიხედვით იგი საბოლოოდ მხოლოდ 2020 წლის 31 ივლისს შესრულდა. გარდა ამისა ხელშეკრულებაში ორჯერ განხორციელდა ცვლილება, რომელიც სწორედ მანამდე დისკვალიფიკაციის საფუძვლად განსაზღვრულ ტექნიკური სპეციფიკაციებისა და მიწოდების ვადების ცვლილებას შეეხებოდა.

ის ფაქტი რომ ჩინური კომპანიები სატენდერო განაცხადებში სრულიად არარეალისტურ ვადებსა და პირობებს უთითებენ სიახლეს არ წარმოადგენს ამ სფეროთი დაინტერესებული ადამიანიებისთვის, თუმცა უცნაურია რომ აღნიშნულით პრაქტიკულად არასოდეს ინტერესდებიან საქართველოს შესაბამისი სამთავრობო უწყების წარმომადგენლები.

ზემოთ წარმოდგენილი ფაქტები, ბადებს საფუძვლიან ეჭვს, რომ სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ გადაწყვეტილებების მიღებისას პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებდა TBEA-ს და სხვა, უფრო ხელსაყრელი წინადებების მქონე პრეტენდენტების დაუსაბუთებელი დისკვალიფიკაციით ხელს უწყობდა TBEA-ს ტენდერში გამარჯვებას. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ყველა ტენდერი, რომელიც გამოცხადებულია სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ მიერ და TBEA-ს მონაწილეობა აქვს მიღებული.

- ან შეწყვეტილია და ხელახლაა გამოცხადებული,
- ან მოგებული აქვს TBEA-ს,
- ასევე პრაქტიკულად ყველა მათგანში ვლინდება სხვა პრეტენდენტების დისკვალიფიკაციის საეჭვო გარემოებები,
- წარმოდგენილია საჩივრები სატენდერო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების წინააღმდეგ.

ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, კიდევ ერთ 2017 წლის 08 ნოემბერს გამოცხადებული ტენდერის დროს (განცხადების ნომერი SPA170014275), სადაც ერთ-ერთი პრეტენდენტი სწორედ TBEA Shenyang Transformer Group Co., Ltd იყო. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება - 5 423 728 ლარი.

წინამდებარე ტენდერში საუკეთესო შეთავაზებები გააკეთეს შემდეგმა კომპანიებმა თანმიმდევრობით: ООО АТЕФ Группа Компаний, შპს ენსოლი, შპს შორეთელი ჰოლდინგ გრუფ და TBEA Shenyang Transformer Group Co., Ltd.

პირველი პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია კომისიამ მოახდინა ფასების ცხრილის (ხარჯთაღრიცხვა) წარმოუდგენლობის მიზეზით. მეორე პრეტენდენტს შპს „ენსოლი“-ს გაეგზავნა წერილი ტექნიკური პარამეტრების შეუსაბამობასთან დაკავშირებით, რაც კომპანიამ განსაზღვრულ დროში გამოასწორა. თუმცა, მიუხედავად ამისა, კომისიამ შეუსაბამოდ მიიჩნია დაზუსტებული დოკუმენტაციაც და მოახდინა მისი დისკვალიფიკაცია. კომისიას შპს „შორეთელი ჰოლდინგ გრუფ“-ის შესაბამისობის საკითხი არც კი განუხილავს. ელექტროენერგიის მოხმარების მკვეთრი ზრდის გამო, კომისიამ ტენდერი, ამ შემთხვევაშიც შეწყვიტა, გაზრდილი ოდენობის შესყიდვების ობიექტების შეძენის მიზეზით და ახალი ტენდერი გამოაცხადა. აღსანიშნავია, რომ ეს სცენარი ზუსტად 2017 წლის 07 აგვისტოს გამოცხადებული ზემოხსენებული ტენდერის (SPA170010812) ფარგლებში განვითარებულ მოვლენების იდენტურია.

2018 წლის 05 ივლისს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონულ პორტალზე „სსე“-მ გამოაქვეყნა ახალი განაცხადი - ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე (NAT) (განცხადების ნომერი NAT180010206) ფორმით, ელექტროძრავების, გენერატორებისა და ტრანსფორმატორების შეძენის მიზნით. განაცხადის შესაბამისად, წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადა 2018 წლის 26 ივლისი იყო, შესყიდვის თითქმის გასამმაგებული სავარაუდო ღირებულებით - 14 813 559.00 ლარი.

აღნიშნულ ელექტრონულ ტენდერში შეთავაზება გააკეთა 8 პრეტენდენტმა. ყველაზე დაბალი ფასით კვლავაც შპს „შორეთელი ჰოლდინგ გრუფ“ იყო წარმოდგენილი, თუმცა მორიგ ჯერზე მისი დისკვალიფიკაცია მოხდა 2018 წლის 07 აგვისტოს ოქმით. დისკვალიფიკაციის მიზეზად სატენდერო წინადადებაში ,,ფასების ცხრილის“ არარსებობა დასახელდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება შპს „შორეთელი ჰოლდინგ გრუფ“-მა გაასაჩივრა და მიუთითა, რომ მათ მთლიანი სატენდერო წინადადება ჯამში 400 გვერდი ატვირთეს სრუ-

ლად და ის ინფორმაცია, რაც სხვა პრეტენდენტებს დასაზუსტებელი ჰქონდათ მათ დადგენილ ვადაში წარმოადგინეს, გარდა ამისა, ინფორმაცია რომელიც ფასების ცხრილში უნდა ყოფილიყო დაფიქსირებული ატვირთულ დოკუმენტებში ისედაც მოცემული იყო უფრო განვრცობილად. შპს „შორეთელი ჰოლდინგ გრუფ“-ის აზრით, ფასების ცხრილის არ ატვირთვის მიზეზი შესყიდვების სააგენტოს ტექნიკური ხარვეზი უნდა ყოფილიყო. მიუხედავად ამისა, კომისიამ პრეტენდენტის საჩივარი დაუსაბუთებლად მიიჩნია და არ შეცვალა შპს „შორეთელი ჰოლდინგ გრუფ“-ის დისკვალიფიკაციის გადაწყვეტილება.

შპს „შორეთელი ჰოლდინგ გრუფ“-ის შემდგომ, კანონის შესაბამისად, კომისიამ განიხილა პრეტენდენტი - შპს „ენსოლს“, რომლის წარმოდგენილი ფასი შეადგენდა 12`379`677.00 ლარს. კომპანიას 2018 წლის 15 აგვისტომდე დაევალა სატენდერო წინადადების დაზუსტება და განესაზღვრა დასაზუსტებელი დოკუმენტაციის სია, რაც კომპანიამ წარმოადგინა კიდეც ვადაში. მიუხედავად ამისა, კომისიამ მაინც დაუზუსტებლად მიიჩნია რამდენიმე დოკუმენტი, ასევე საეჭვოდ მიიჩნია კომპანიის მიერ წარმოდგენილი მონაცემები ტექნიკური სპეციფიკაციების ნაწილში, რის საფუძველზეც მოხდა შპს „ენსოლს“-ის დისკვალიფიკაცია. აღნიშნული გადაწყვეტილება კომპანიამ გაასაჩივრა. კომისიამ აღნიშნა, რომ პრეტენდენტს მითითებული არ ჰქონდა თანხმობა ტექნიკურ დავალებაზე, რაზეც შპს „ენსოლს“-მა განაცხადა, რომ ტენდერი თანხმობის კონკრეტულ ფორმას არ ითვალისწინებდა და მათი მხრიდან ტექნიკური დავალების მახასიათებლების წარდგენა ცხრილების სახით თავისთავად გულისხმობდა დავალების შესრულებაზე თანხმობას. ტექნიკური სპეციფიკაციის ცხრილში წარმოდგენილი მონაცემების სიზუსტეს ან/და მათ არარსებობასთან დაკავშირებულ პრეტენზიებზე კი შპს „ენსოლს“-ი საჩივარში დეტალურ განმარტებებს აკეთებს და მიუთითებს, რომ ეს მონაცემები მთლიან დოკუმენტში სხვადასხვა გრაფებში წარმოდგენილი იყო შინაარსობრივად. საბოლოო ჯამში, კომისიამ პრეტენდენტის საჩივარი დაუსაბუთებლად მიიჩნია და არ შეცვალა შპს „ენსოლს“-ის დისკვალიფიკაციის გადაწყვეტილება.

სამი პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შემდგომ, საბოლოოდ, წინამდებარე ტენდერის გამარჯვებული კვლავ TBEA Shenyang Transformer Group Co., Ltd. გახდა.

წინამდებარე ტენდერის პირობების, მისი შეწყვეტისა და ხელახლა გამოცხადების, ყველა უკეთესი მონაცემების მქონე პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის, საჩივრების მოსმენის პროცედურებისა და ოქმების გაცნობის შემდეგ პრაქტიკულად შეუძლებელია განსხვავებული აზრი გაგიჩნდეთ გარდა იმისა, რომ სატენდერო კომისია ყველაფერს აკეთებს კომპანია TBEA-ს გამარჯვებისთვის. აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს კონტრაქტის გაფორმების შემდეგ განვითარებული მოვლენები. ზუსტად ისე როგორც წინა შემთხვევაშიც, TBEA-მ ვერც ამჯერად შეძლო კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების შესრულება და შესაბამისად მისი ხელშეკრულება ერთი წლით გაგრძელდა.

აღსანიშნავია, რომ TBEA Shenyang Transformer Group Co., Ltd.-თან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2019 წლის 31 დეკემბერი იყო და ტრანსფორმატორების ჩაბარების პერიოდი ხელშეკრულების გაფორმებიდან 8-12 თვეს მოიცავდა. თუმცა „სსე“-მ კომპანიას ორჯერ გაუგრძელა ვადა და უკანასკნელი მონაცემებით ხელშეკრულება ძალაშია 2020 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით. შემსყიდველმა კომპანიას ფაქტობრივად ერთი წლით გადაუწია შესრულების ვადა, ამასთან ცვლილებები შევიდა ხელშეკრულების ტექნიკურ პირობებში, რაც შემსყიდველის მიერ თავიდანვე

იყო განსაზღვრული სატენდერო დოკუმენტაციით. ასევე **შეიცვალა ტრანსფორმატორების მიწოდების ადგილებიც.** მიუხედავად ამისა, **საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის შესაბამისად, არავითარ დავაზე, ჯარიმაზე ან სახელმშეკრულებო პირობების დარღვევისთვის რაიმე ფორმით პასუხისმგებლობის დაკისრებაზე ცნობები არ იძებნება.**

„სსე“-ის განცხადებით, წინამდებარე პროექტის მიზანი ქვეყანაში ელექტროენერგიის მოხმარების გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილება იყო. **პროექტის განხორციელების შედეგად, გაიზრდებოდა ქსელის საიმედოობა და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდებოდა მომხმარებლისთვის მიწოდებული ელექტროენერგიის ძაბვის პარამეტრების ხარისხი.**



Mr. Davit Tvalabeishvili, Chairman of the Management Board of Georgian State Electrosystem, and Mr. Sun Yong, Vice President of the Chinese company TBEA Shenyang Transformer Group

ხს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას მიერ გამოცხადებული ტენდერები (გამოცხადების ნომერი)	გამოცხადების თარიღი	შეფასების საბოლოო ღირებულება	პრეტენდენტები
SPA170010812 ავტოტრანსფორმატორი 220/110/10.5 კვ, 200 მვა (შეფასების შედეგები)	07.08.2017	3`559`322.00 GEL	შპს ჩაინა ნუკლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში - 3`529`322.00 შპს ენსოლი - 3`488`000.00 შპს ნიუ მეტალი - 3`289`000.00 BALIKESIR ELEKTROMEKANIK SANAYI TESISLERI A.S. - 3`190`000.00 TBEA Shenyang Transformer Group Co., Ltd. - 2`619`999.00 ПАО "Запорожтрансформатор" - 2`567`000.00 **შპს შორეული ჰოლდინგ გრუფ - 2`555`000.00**
SPA170014275	07.12.2017	5`423`728.00 GEL	Shandong Taikai Power Engineering Co.,ltd - 5`290`000.00 ПАО "Запорожтрансформатор"- 5`259`000.00 TBEA Shenyang Transformer Group Co., Ltd. - 5`258`990.00
ავტოტრანსფორმატორები 220/110/10.5 კვ, 200 მვა (შეფასების შედეგები)			შპს შორეული ჰოლდინგ გრუფ - 4`438`000.00 შპს ენსოლი - 4`437`999.00 **ООО АТЕФ Групна Компаний - 3`587`675.00**
SPA180001664 200 მვა ავტოტრანსფორმატორები 40 მვა და 80 მვა ძალოვანი ტრანსფორმატორები შეფასების შედეგები	08.02.2018	11`228`813.00 GEL	შპს ენსოლი 11`126`633.00 TBEA Shenyang Transformer Group Co., Ltd. 10`183`000.00 ООО АТЕФ Групна Компаний 9`650`000.00 **შპს შორეული ჰოლდინგ გრუფ 9`649`900.00**
NAT180010206 125 მვა ავტოტრანსფორმატორები 80 მვა, 63 მვა და 40 მვა ტრანსფორმატორები შეფასების შედეგები	05.07.2018	14`813`559.00 GEL	СВЭЛ-СИЛОВЫЕ ТРАНСФОРМАТОРЫ - 14`813`559.00 BALIKESIR ELEKTROMEKANIK SANAYI TESISLERI A.S. - 14`299`000.00 ПАО "Запорожтрансформатор"- 13`639`150.00 შპს ენერი ინჟინირინგ - 13`129`722.00 TBEA Shenyang Transformer Group Co., Ltd. - 12`916`940.00 Shandong Taikai Power Engineering Co.,ltd - 12`842`465.00 შპს ენსოლი - 12`379`677.00 **შპს შორეული ჰოლდინგ გრუფ - 11`857`921.00**

TBEA საერთაშორისო „რეპუტაცია“ ფაქტებით

მხოლოდ ფაქტებით, იხილეთ ძალიან მოკლედ TBEA -ს საერთაშორისო „გამოცდილებისა“ და რეპუტაციის შესახებ.

2009 წელს ტაჯიკეთის ენერგეტიკისა და მრეწველობის სამინისტრომ და TBEA– მ ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს დუშანბეში 200 მეგავატიანი ნახშირის ელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ (გარდა ამისა მემორანდუმი მოიცავდა დამატებით ორ სხვა პროექტს რომლებიც არ განხორციელებულა), **სადაც აღნიშნულია, რომ TBEA ელექტროსაგურის მშენებლობის სანაცვლოდ მიიღებს ნებართვას ოქროს მაღაროების დამუშავებაზე.**

2012--2014 **წლებში ელექტროსადგურ დუშანბე-2-ის მშნებელობის პროექტის პირველი ფაზის ხარჯების დასაფარად TBEA-მ თავად აიღო სესხი ჩინეთის ექსიმ ბანკისგან - 178 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით.**

2014 **წელს კომპანია TBEA-მ, დუშანბეში ელექტროსადგურის მშენებლობის სანაცვლოდ, ნებართვა მიიღო ჩრდილოეთ ტაჯიკეთში, სუგდის რეგიონში, ზემო კუმარგის ოქროს მაღაროების დამუშავებაზე.** მანამდე კომპანიას მიენიჭა კონცესია აღმოსავლეთ დუობას მაღაროზე.

2014--2016 **წლებში დუშანბე-2-ის მშნებელობის პროექტის მეორე ფაზის ხარჯების დასაფარად სესხი ექსიმ ბანკისგან უკვე არა TBEA-მ, არამედ ტაჯიკეთის მთავრობამ აიღო, 331 მილიონი დოლარის ოდენობით, და დაფარვის ვალდებულებაც თავად ტაჯიკეთის მთავრობამ იტვირთა.**

2013 წელს

'ივნისში ყირგიზეთში, ჩინეთის მთავრობის მიერ გაცემული სესხის საფუძველზე დაფინანსებული, 386 მილიონი დოლარის ღირებულების პროექტი - „Bishkeks Combined Heat and Power plant (CHP) Tebian Electric Apparatus Stock Co LTD (TBEA)-ს გადაეცა. პროექტის მშენებლობა 2018 წელს დასრულდა, თუმცა იმავე წელს, ელექტროსადგური გაფუჭდა, რის გამოც ბიშკეკის მოსახლეობის დიდ ნაწილს გათბობა და ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა -27 გრადუს ყინვაში. წინამდებარე სკანდალის შედეგად, ყირგიზეთის ორი ყოფილი პრემიერ მინისტრი Sapar Isakov და Jantoro Satybaldiev დააპატიმრეს.

2020 წლის

28 სექტემბერს გამბიის სახელმწიფოს მთავრობამ, რომელიც მოქმედებდა ენერგეტიკის სამინისტროსა და წყლისა და ელექტროენერგიის ეროვნული კომპანიის (NAWEC) მეშვეობით, ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი პროექტი ელექტროენერგიის გადაცემასა და განაწილებასთან დაკავშირებით გადასცა TBEA-ს, რომელმაც 2017 წლის დეკემბერში გამბიის პრეზიდენტის ადამ ბაროუს ჩინეთში ვიზიტის ხარჯები 752,594.42 აშშ დოლარის ოდენობით დააფინანსა.

TBEA აზიაში

TBEA და ყირგიზეთის რესპუბლიკა

კორუფციის ერთ ერთი მაგალითია ყირგიზეთის რესპუბლიკა, სადაც ჩინეთის მთავრობის მიერ გაცემული სესხის საფუძველზე დაფინანსებულ, 386 მილიონი დოლარის ღირებულების პროექტი - „Bishkeks Combined Heat and Power plant (CHP)“, რამდენიმე წლის წინ დიდი საერთაშორისო ყურადღების ქვეშ მოექცა.

„ნიუ-იორკ ტაიმსი“-ის ცნობით, აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით 2013 წელს გამარჯვებული ტენდერში ჩინურმა კომპანიამ - Tebian Electric Apparatus Stock Co LTD (TBEA)-მ გაიმარჯვა და მისი შედეგები ქვეყნისთვის კატასტროფული აღმოჩნდა.

TBEA-ს დაევალა გასული საუკუნის 60-იანი წლების ელექტროსადგურის მოდერნიზაცია, რომელიც მთელს ქვეყანას ამარაგებდა სითბოთი და ელექტროენერგიით. ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოები 2014 წლის ივნისში დაიწყო, და 2018 წელს დასრულდა, თუმცა კაპიტალური რემონტის დასრულების შემდეგ, იმავე, 2018 წელს, ელექტროსადგური გაფუჭდა, რის გამოც ბიშკეკის მოსახლეობის დიდ ნაწილს გათბობა და ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა -27 გრადუს ყინვაში.

компанией «Tebian Electric Apparatus Stock CO.» (TBEA) от 10.09.2013

№	Наименование товара	Количество (шт.)	Единица стоимости (Дол. США)	Общая стоимость (Дол. США)
1	Кресло крутящееся-TY131	30	203	6 090
2	Кресло крутящееся – TY132	125	116	14 500
3	Кресло крутящееся – TY134	120	116	13 920
4	Шкаф книжный TY-018	49	326	15 974
5	Шкаф книжный SHS-083	100	174	17 400
6	Шкаф книжный TY-108	130	174	22 620
7	Стул TY139	200	130	26 000
8	Стул TY145	975	36	35 100
9	Стул TY147	300	81	24 300
10	Стол двухтумбовый – TY-052	50	146	7 300
11	Стол двухтумбовый – TY-054	70	116	8 120

გამოძიებით დადგინდა, რომ პრობლემის მიზეზი არა ქარხნის არასათანადო მოვლა, არამედ მისი უხარისხო მოდერნიზაცია იყო. პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, კონტრაქტის ფარგლებში საკონსულტაციო მოსაკრებლებისთვის.

გამოყოფილი ხარჯი 6 მილიონი, ხოლო ადმინისტრაციული ხარჯებისთვის - 14 მილიონი დოლარი იყო, ასევე TBEA ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობებში 1,600 დოლარას იხდიდა, ქანქარებში კი 320 დოლარს, როცა ზემოხსენებული მოწყობილობებისა და მომსახურების საბაზრო ფასი ბევრად დაბალია.

ამასობაში, 2018 წლის 10 მაისს შეიქმნა დროებითი საპარლამენტო კომისია, რომელმაც სამთვიანი გამოძიება ჩაატარა აღინიშნულ **კორუფციულ გარიგებასთან** დაკავშირებით. კომისიის დასკვნის შესაბამისად გაირკვა, რომ ხელშეკრულება TBEA-სთან დადებული იყო ქვეყნისთვის არახელსაყრელი და კაბალური პირობებით. **ყირგიზეთმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისგან 20 წლის ვადით მიიღო სესხი წლიური 2% საპროცენტო განაკვეთით, რასაც ასევე სესხის მართვის 0.18% საკომისიო ემატებოდა, და საბოლოო ჯამში სესხის მთლიანმა ღირებულებამ 470 მილიონ დოლარს მიაღწია.**

Two Former Kyrgyz Prime Ministers Receive Prison Terms



Sapar Isakov was sentenced to 15 years.

სკანდალის შედეგად, ყირგიზეთის ორი ყოფილი პრემიერ მინისტრი Sapar Isakov და Jantoro Satybaldiev დააპატიმრეს. Isakov-ს კორუფციის ბრალდებით 15 წელი მიესაჯა. **პროკურორის თქმით, ის ასევე იყენებდა თავის გავლენებს, რათა თბოელექტრო სადგურის პროექტის ტენდერის მსვლელობისას ლობირება გაეწია ჩინური კომპანია TBEA-სთვის.** Satybaldiev კი წარმოადგენს მეორე პრემიერ მინისტრს, რომელიც პროექტის მსვლელობისას ქრთამის აღების გამო დაიჭირეს და 15 წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

ჩინური კომპანიები ასევე აქტიურად არიან ჩართული ყირგიზეთში განხორციელებულ გეოლოგიურ-საძიებო საქმიანობაში და ამუშავებენ ოქრო-სპილენძის მწარმოებელ კონცენტრატს.

ოქრო-სპილენძის მოპოვების თაობაზე არსებული კონტრაქტების პრობლემების შესახებ მსოფლიო პრესა მუდმივად საუბრობს, ისევე როგორც ჩინეთის ექსიმბანკთან ყირგიზეთის მთავრობის 20 წლიანი სესხის ხელშეკრულებაზე, რომელიც ყირგიზეთის ეროვნული უსაფრთხოების პრობლემა გახდა, თუმცა ჩვენი კვლევის ობიექტი არ არის ყირგიზეთი და ნებისმიერ სხვა ქვეყნის გამოცდილებას მხოლოდ იმდენად შევეხებით, რამდენადაც ჩვენი ინტერესია იმ კომპანიების ისტორიის და გამოცდილების განხილვა ვინც ქართულ ბაზარზე ოპერირებენ.

TBEA და ტაჯიკეთის რესპუბლიკა

TBEA-ს შემდგომი სკანდალი რომელიც ჩვენი ყურადღების ცენტრში მოექცა, ცენტრალური აზიის კიდევ ერთ რესპუბლიკას, ტაჯიკეთს უკავშირდება. გამოცემა აზია-პლიუსის 2018 წლის 11 აპრილის ინფორმაციით, **კომპანია TBEA-მ, 2014 წელს დუშანბეში ელექტროსადგურის მშენებლობის სანაცვლოდ, ნებართვა მიიღო ჩრდილოეთ ტაჯიკეთში, სუგდის რეგიონში, ზემო კუმარგის ოქროს მაღაროების დამუშავებაზე. მანამდე კომპანიას მიენიჭა კონცესია აღმოსავლეთ დუობას მაღაროზე.** გამომცემლობის წყაროს სახელმწიფო გეოლოგიის დეპარტამენტის ოფიციალური პირი წარმოადგენდა, რომელმაც ანონიმურად დარჩენა ისურვა.

აქვე აუცილებლად უნდა ავღნიშნოთ, რომ საბადოების ლიცენზიების გაცემის მიზეზი ელექტროსადგურის ტაჯიკეთის სახელწიფოსთვის უფასოდ გადაცემა იყო.

ელექტროსადგური დუშანბე-2 კომბინირებული ელექტროსადგურია (CHP), რომელიც უზრუნველყოფს, როგორც სითბურ, ისე ელექტრო ენერგიას დუშანბეს მოსახლეობისთვის. ელექტროსადგურის მშენებლობის პროექტი დაყოფილია ორ ფაზად, შესაბამისად მისი დაფინანსებაც ორ ეტაპად განხორციელდა. შეთანხმების შესაბამისად, პირველი ფაზის (2012-2014) მშენებლობის ხარჯების დასაფარად TBEA-მ თავად აიღო სესხი ჩინეთის ექსიმ ბანკისგან - 178 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით, თუმცა მეორე ნაწილის (2014-2016) მშენებლობისათვის სესხი ექსიმ ბანკისგან უკვე არა TBEA-მ, არამედ ტაჯიკეთის მთავრობამ აიღო, 331 მილიონი დოლარის ოდენობით, და დაფარვის ვალდებულებაც თავად ტაჯიკეთის მთავრობამ იტვირთა.



The Tajik government has reportedly agreed to give Xinjiang Tebian Electric Apparatus Stock Co. Ltd (TBEA) the rights to further mining deposits if the profit made from two gold deposits doesn't cover the cost of building the Dushanbe-2 combined heat and power (CHP) plant.

არც ექსიმ ბანკს და არც ტაჯიკეთის მთავრობას, ბუნებრივია არც კომპანია TBEA-ს საჯაროდ არ აუხსნიათ, რატომ გადაწყდა მეორე ფაზის ფარგლებში ტაჯიკეთის მთავრობის მიერ სესხის აღება, როცა საბადოების მოპოვება-დამუშავების ლიცენზიების საკითხი უკვე გადაწყვეტილი იყო.

განსხვავებით ტაჯიკეთის ხელისუფლების განცხადებებისა, 2012 წლის სექტემბერში, ჩინეთის მედიისთვის მიცემულ ინტერვიუში, TBEA-ს თავმჯდომარე აცხადებდა, რომ დაგეგმილი და განცხადებული 200 მეგავატის ნაცვლად მისი კომპანია 100 მეგავატიანი სადგურის აშენების და **178 მილიონი დოლარის ინვესტიციის ვალდებულებას იღებდა, რის სანაცვლოდაც მათ ოქროს საბადოების მოპოვება-დამუშავების უფლება ეძლეოდათ.** იმავე ინტერვიუში ჟანგ ქსინი (Zhang Xin) აცხადებდა, რომ ტაჯიკეთის მთავრობამ თანხმობა განაცხადა TBEA-სთვის გადაეცა საბადოების მოპოვება-დამუშავების უფლებები, თუკი ოქროს საბადოებიდან მიღებული მოგება არ იქნებოდა საკმარისი მათ მიერ აღებული სესხის მომსახურებითვის. აღსანიშნავია, რომ არც საბადოები და არ ვადები დაკონკრეტებული არ ყოფილა.

დუშანბე-2 პროექტის ფარგლებში არსებული ვალდებულებების გასტუმრებისთვის, 2019 წლის ოქტომბერში, ტაჯიკეთის პარლამენტმა კიდევ ერთი გადაწყვეტილება მიიღო და **კომპანია სრულად გაათავისუფ-**

ლა ოქროს საბადოების მოპოვება-დამუშავებისთვის განკუთვნილი აღჭურვილობისა და ტექნოლოგიების შემოტანისთვის გათვალისწინებული გადასახადებისა და მოსაკრებლებისგან. 2011 წელს კი ტაჯიკეთის პარლამენტმა მხარი დაუჭირა შეთანხმების რატიფიცირებას, რომლითაც დაახლოებით 1,000 კვადრატული კილომეტრი სასაზღვრო ტერიტორია გადაეცემა ჩინეთს.


TBEA აფრიკაში

TBEA და გამბია

TBEA-ს სკანდალური ისტორიები მხოლოდ ცენტრალური აზიით არ შემოიფარგლება. TBEA-სა და შესაბამისი სახელმწიფოების მთავრობებს შორის კორუფციად საშიშ გარიგებებზე ინფორმაცია მრავლად იძებნება გამბიის სახელმწიფოს მაგალითზეც.

2019 წელს საერთაშორისო რესპუბლიკურმა ინსტიტუტმა (IRI) გამოაქვეყნა სხვადასხვა შემთხვევაზე დაფუძნებული კვლევა ჩინეთის მავნებელი გავლენისა და დემოკრატიის კოროზიის შესახებ. ანგარიში მოიცავს ჩინეთის ჩარევასა და გავლენებს ცამეტ ქვეყანაში და მათ შორის არის გამბიაც. კვლევის თანახმად, გამბიის შესამჩნევი პროგრესი კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებით საფრთხეში აღმოჩნდა ჩინეთის ინვესტიციებზე დამოკიდებულების ზრდის გამო. ზემოხსენებული საფრთხის მაგალითია გამბიის პრეზიდენტ ადამ ბაროუსა და ჩინურ კომპანია TBEA-ს გარშემო განვითარებული სკანდალი.

2016 წლის გამბიის საპრეზიდენტო არჩევნებში ბაროუმ მოქმედი პრეზიდენტი იაჰია ჯამე დაამარცხა, რომელიც ცნობილია მისი 22 წლიანი სასტიკი მმართველობით, ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებითა და კორუფციული გარიგებებით. ბაროუ წარმოადგენდა გაერთიანებულ ოპოზიციას და გამბიელი ხალხისთვის იყო პროგრესისა და განვითარების იმედი, თუმცა გამომცემლობა The Guardians-ის მიხედვით, ბაროუს არჩევის შემდეგ, ქვეყანამ მხოლოდ მცირე პროგრესი განიცადა, სანაცვლოდ კი მრავლად იყო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ფაქტები.



როგორც IRI-ს ანგარიშში ვკითხულობთ 2017 წლის დეკემბერში, ჩინეთში ბაროუს ოფიციალური ვიზიტისთვის გამბიას მთავრობას საკმარისი სახსრები არ აღმოაჩნდა. ამიტომ პრეზიდენტის კანცელარიამ ფინანსური დახმარების თხოვნით მიმართა ჩინურ ტრანსფორმატორების მწარმოებელ კომპანია TBEA-ს. აღსანიშნავია, რომ ამ დროისთვის TBEA მონაწილეობას იღებდა კონკურსში გამბიის მთავრობისგან კონტრაქტის მოსაპოვებლად. პრეზიდენტის კანცელარიის მიერ განხორციელებული თხოვნის შემდეგ TBEA-მ 752,594.42 აშშ დოლარი გადარიცხა პირველი ლედის მიერ მართული ფონდის ანგარიშზე Fatoumata Bah Barrow Foundation (FBBF). საერთაშორისო გამჭვირვალობის მიმოხილვაში, რომელიც გამბიაში კორუციის ფაქტებს შეეხება, როდესაც TBEA-მ ფონდში აღნიშნული თანხა გადარიცხა, ამ უკანასკნელმა 746,211.13 დოლარი დაუყოვნებლივ გადარიცხა White Airways-ის ანგარიშზე, ხოლო ტრანზაქციის დანიშნულება ჩინეთამდე ავიაბილეთების შეძენა იყო. მოგვიანებით ასევე აღმოჩნდა, რომ გამბიის მთავრობამ, რომელიც მოქმედებდა ენერგეტიკის სამინისტროსა და წყლისა და ელექტროენერგიის

ეროვნული კომპანიის (NAWEC) მეშვეობით, ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი პროექტი ელექტროენერგიის გადაცემასა და განაწილებასთან დაკავშირებით გადასცა TBEA-ს, რომელმაც თავის დროზე პრეზიდენტის ჩინეთში მგზავრობა დააფინანსა. Fatu Network-მა, რომელიც ერთ-ერთი წამყვანი საინფორმაციო სააგენტოა გამბიაში, 2020 წლის 28 სექტემბერს გამოაქვეყნა ინფორმაცია ენერგეტიკის სამინისტროსა და წყლისა და ელექტროენერგიის ეროვნული კომპანიის (NAWEC) მიერ გამოცხადებულ ელექტროენერგიის გადაცემისა და განაწილების პროექტის ტენდერთან დაკავშირებით. სააგენტო იუწყება, რომ მათ მიერ მოპოვებული დოკუმენტაციის შესაბამისად, ტენდერში მონაწილეობდა ხუთი კომპანია: Eiffage Energie Systemes (France), Xian Electric Engineering Co Ltd (China), Sinohydro (China), National Contracting Co Ltd (Saudi Arabia) და TBEA (China). 2020 წლის 22 სექტემბერს, კომპანიამ National Contracting Co Ltd-მ ელ. ფოსტით მიიღო პროექტის მენეჯერის ჰედი ნჯის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელიც იტყობინებოდა, რომ მის მიერ ტენდერის ფარგლებში წარდგენილი წინადადება არ შეესაბამებოდა "სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს" და შესაბამისად, ტენდერში გაიმარჯვა ჩინურმა კომპანია ტბეამ.

TBEA-ს ლობისტები ჩინეთის ხელისუფლება

თვალსაჩინოა, რომ TBEA-მ ერთი და იგივე სცენარი გაითამაშა, როგორც ყირგიზეთში ისე ტაჯიკეთში, რითაც წარმოუდგენლად დიდი ფულადი და ქონებრივი რესურსი შეიძინა. თუმცა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია გავლენა, რომელიც მას, სხვა ჩინურ სახელმწიფო კომპანიებთან ერთად ამ სახელმწიფოებზე გაუჩნდა.

ცხადია, ამ სცენარის ერთ-ერთი მთავარი გმირი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და ექსიმ ბანკია. მიუხედავად იმისა, რომ, ოფიციალურად, TBEA არა სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული, არამედ კერძო საწარმოა, ცალსახაა, რომ ჩინეთის ხელისუფლება აქტიურად უჭერს მხარს, ლობირებს და საკუთარ რესურსებსა და გავლენებს არ იშურებს TBEA-ს პოპულარიზაციისა და ბიზნეს გარიგებების მოსაპოვებლად. ამას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ Tbea Co Ltd-ის თავმჯდომარე ჟანგ სინი ჩინეთის კომუნისტური პარტიის წევრია და მისი სახელი ფიქსირდება მე -11 და მე-13 ეროვნული სახალხო კონგრესის წევრთა სიაში. ჩინეთის კომუნისტური პარტიის (CCP) მე-18 კონგრესზე, ჟანგ სინი სიტყვითაც გამოვიდა, რაც სეპციალური პრივილეგიაა. აღსანიშნავია, რომ სწორედ CCP-ის მე-18 კონგრესზე მიიღეს ეგრეთწოდებული დოკუმენტი #9 (Communiqué on the Current State of the Ideological Sphere), რომლითაც განსაზღვრულია ჩინეთის კომუნისტური პარტიისა და მისი გავლენების მიმართ არსებული საფრთხეები.

გარდა ამისა, 2002 წლის მარტში Xinjiang Tebian Electric Corporation (TBEA)-მ ხელშეკრულება გააფორმა სინჯიანგის ჩანჯის იძულებითი შრომის ბანაკთან, რომლის მიხედვითაც ფალუნ გონგის პატიმრები კომპენსაციის გარეშე იმუშავებდნენ TBEA-სთვის. სინჯიანგის ჩანჯის იძულებითი შრომის ბანაკი გამოირჩევა მძიმე სამუშაო პირობებით, სადაც პატიმრებს აწამებენ, აშიმშილებენ და არაადამიანურად ეპყრობიან. როგორც Min-

ghui.org იუწყება, 2002 წელს, TBEA-სა და იძულებითი შრომის ბანაკს შორის ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის TBEA -ს თავმჯდომარე, ჟანგ სინი ეროვნულ სახალხო კონგრესში წარმოადგენდა ქალაქ ჩანჯის (Changji), თუმცა მას საერთოდ არ ადარდებდა ჩანჯის იძულებითი შრომის ბანაკში მომუშავე პატიმრების ბედი, იგი თვალს ხუჭავდა იქ არსებულ მდგომარეობაზე, პატიმრებისადმი არაადამიანურ მოპყრობაზე და მეტიც, ამ ყველაფერს საკუთარი კომპანიის TBEA- ს სასარგებლოდ იყენებდა.

დასკვნა

ზემოთ მოყვანილი უცხო ქვეყნების გამოცდილებიდან, ნათლად ჩანს, რომ ჩინური კომანია TBEA-ს რეპუტაცია სერთაშორისო მასშტაბით ეჭვქვეშ დგას. მიუხედავად ამისა, ესოდენ მასშტაბური პროექტების განხორციელება სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ მიანდო კომპანიას, რომელმაც ყირგიზეთის მოსახლეობა -27 გრადუს ყინვაში ელექტროენერგიისა და გათბობის გარეშე დატოვა, კომპანიას რომელიც მხილებულია სხვადასხვა მთავრობებთან კორუფციულ გარიგებებში, და რომელთან ურთიერთობის გამოც სახელმწიფო თანამდებობის პირები დღემდე პატიმრობაში იმყოფებიან, კომპანიას რომლის ფილიალი ინდოეთში შესაძლო გადახდისუუნარობის წინაშე დგას.

მსგავსად საქართველოში მოქმედი სხვა ჩინური კომპანიებისა, TBEA-ს შემთხვევაშიც სახელმწიფოს არც კი უცდია დიუ დილიჯენსის (Due diligence) განხორციელება, მათი საერთაშორისო რეპუტაციის მოკვლევა, იმ პირობებში როდესაც ყველაზე მარტივი და ხელმისაწვდომი საძიებო პლათფორმა google-იც კი ზედაპირული ძებნის ფარგლებში მყისიერად გვაძლევს ინფორმაციას TBEA-ს კორუფციული გარიგებების შესახებ, რომლის წყაროც სანდო და კვალიფიციური გამოცემები ნიუ-იორკ ტაიმსი, eurasianet, BBC და სხვაა. უფრო მეტიც, სწორედ ამგვარი რეპუტაცია შელახული კომპანიის წახალისებისათვის, როგორც კვლევაშიც იხილეთ, სატენდერო კომისია მცდელობას არ იშურებს შეცვალოს პირობები და სრულიად გაუგებარი და დაუსაბუთებელი მიზეზით დისკვილიფიკაცია გაუკეთოს კონკურენტებს.

ბიბლიოგრაფია

Ltd.; TBEA International Engineering Contracting Co;. TBEA Shandong Luneng Wires and Cables Co. Ltd.; TBEA Shenyang Transformer Group Co. Ltd.; TBEA Xinjiang Sun Oasis Co. Ltd.; TBEA Xinjiang Transformer Co. Ltd; TBEA Energy (India) Private Limited etc.
see:https://www.tbea.com/cs/Satellite?d=&c=Page&pagename=TBEA_EN%2FPage%2FENTemplate%2FAboutUS%2FcorpInfo&cid=1467897312334

[1]See:https://www.tbea.com/cs/Satellite?d=&c=Page&pagename=TBEA_EN%2FPage%2FENTemplate%2FAboutUS%2FcorpInfo&cid=1467897312334

[1] WU YONG ,China Business Weekly staff, (20.01.2004) *Transformer maker transformed* http://www.chinadaily.com.cn/en/bw/2004-01/20/content_301672.htm

[1] China Economic Times, (05.01.2004) *Shenyang Transformer Reorganization: TBEA failed to deliver first to Siemens* http://finance.sina.com.cn/b/20040105/1053589795.shtml

[1] See: http://www.tbeaindia.com/aboutus.aspx

[1] See documentation published by Georgian state procurement agency:
https://tenders.procurement.gov.ge/public/library/files.php?mode=tdoc&file=1705910&code=1522616892

[1] Agata Palickova and Georgi Gotev, (Jul 24, 2019) *Scandals in Kyrgyzstan highlight dubious Chinese business practices.* https://www.euractiv.com/section/central-asia/news/scandals-in-kyrgyzstan-highlight-dubious-chinese-business-practices/

[1] http://www.gse.com.ge/chvens-shesakheb/ras-vsaqmianobt/eleqtrogadamcemi-qselis-floba

[1] Electronic Tender: SPA170010812 see: http://tenders.procurement.gov.ge/public/?go=237905&lang=en

[1] See minutes N4 of tender commission:
https://tenders.procurement.gov.ge/public/library/files.php?mode=app&file=2559159&code=1508493869

[1]Decision of the Dispute Resolution Council of State Procurement Agency 17.10.2017 see:
https://tenders.procurement.gov.ge/dispute/engine/document.php?code=http://nbs.napr.gov.ge/nbs/v3/blobs/spa-2017-10-17/4e1ad2559d018247959554a5de206440-5c444fc9-7d13-4927-9f32-c35b802637f5&mime=application/pdf&save=Decision_DIS170010812_01.pdf

[1] Paragraph 3 of Article 27 of the "Rules for conducting electronic Procurements" approved by the Order N12 of the Chairman of the State Procurement Agency of June 14, 2017 see:
http://www.procurement.gov.ge/files/_data/eng/legalacts/order_no_9_20110407.pdf

[1] See: https://tenders.procurement.gov.ge/public/library/files.php?mode=app&file=2807533&code=1524583593

[1] Electronic Tender: SPA170010812, see the documentation:
http://tenders.procurement.gov.ge/public/?go=237905&lang=en

[1] Electronic Tender: SPA170014275 see: http://tenders.procurement.gov.ge/public/?go=246805&lang=en

[1] Disqualification notification, see:
https://tenders.procurement.gov.ge/public/library/files.php?mode=app&file=2649554&code=1514394796

[1] See the minutes of tender commission
https://tenders.procurement.gov.ge/public/library/files.php?mode=app&file=2681211&code=1516641802

[1] Electronic Tender: NAT180010206 see: http://tenders.procurement.gov.ge/public/?go=270899&lang=en

[1] See the minutes of tender commission
https://tenders.procurement.gov.ge/public/library/files.php?mode=app&file=2943410&code=1533656228

[1] Order №12 of Chairman of the State Procurement Agency On approval of the rule of conducting electronic tender see: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3699020?publication=0

[1] See the minutes N5 of tender commission
https://tenders.procurement.gov.ge/public/library/files.php?mode=app&file=2970936&code=1535379307

[1] See the minutes N7 of tender commission
https://tenders.procurement.gov.ge/public/library/files.php?mode=app&file=3013040&code=1538043797

[1] See the minutes N10 of tender commission
https://tenders.procurement.gov.ge/public/library/files.php?mode=app&file=3047149&code=1540224965

[1] See the contract on state procurement
https://tenders.procurement.gov.ge/public/library/files.php?mode=contract&file=259325

[1] See the Georgian State Electrosystem's announcement: http://www.gse.com.ge/comunikatsia/akhali-ambebi/tbea-shenyang-transfomer-gourp-shooris-khelshekruleba-gaformda/

[1] Dirk van der Kley, (April 14, 2018), *The Full Story Behind China's Gold Mine-Power Plant Swap in Tajikistan* , see: https://thediplomat.com/2018/04/the-full-story-behind-chinas-gold-mine-power-plant-swap-in-tajikistan/
[1] Dirk van der Kley, (April 14, 2018), *The Full Story Behind China's Gold Mine-Power Plant Swap in Tajikistan* , see: https://thediplomat.com/2018/04/the-full-story-behind-chinas-gold-mine-power-plant-swap-in-tajikistan/
[1] Dirk van der Kley, (April 14, 2018), *The Full Story Behind China's Gold Mine-Power Plant Swap in Tajikistan* , see: https://thediplomat.com/2018/04/the-full-story-behind-chinas-gold-mine-power-plant-swap-in-tajikistan/
[1] Andrew Higgins (July 6, 2019) *A Power Plant Fiasco Highlights China's Growing Clout in Central Asia* ,See: https://www.nytimes.com/2019/07/06/world/asia/china-russia-central-asia.html

[1] The Fatu Network (September 28, 2020) see: https://fatunetwork.net/after-giving-35-million-dalasis-to-first-ladys-foundation-tbea-now-wins-contract-worth-over-one-billion-dalasis/
[1] Elnura Alkanova, (24 October 2018), Abuse of power? *On the trail of China's mystery millions in Kyrgyzstan*, see: https://www.opendemocracy.net/en/odr/what-happened-at-bishkek-power-plant/
[1] Andrew Higgins (July 6, 2019) *A Power Plant Fiasco Highlights China's Growing Clout in Central Asia* ,See: https://www.nytimes.com/2019/07/06/world/asia/china-russia-central-asia.html

[1] Nurjamal Djanibekova (May 18, 2018), Kyrgyzstan: *Power plant blame game threatens political showdown* see: https://eurasianet.org/kyrgyzstan-power-plant-blame-game-threatens-political-showdown
[1] Elnura Alkanova, (24 October 2018), Abuse of power? *On the trail of China's mystery millions in Kyrgyzstan*, see: https://www.opendemocracy.net/en/odr/what-happened-at-bishkek-power-plant/
[1] RFE/RL's Kyrgyz Service (December 06, 2019), Two Former Kyrgyz Prime Ministers Receive Prison Terms, see: https://www.rferl.org/a/two-former-kyrgyz-prime-ministers-receive-prison-terms-/30311583.html
[1] Agata Palickova and Georgi Gotev (Jul 24, 2019) Scandals in Kyrgyzstan highlight dubious Chinese business practices, see:https://www.euractiv.com/section/central-asia/news/scandals-in-kyrgyzstan-highlight-dubious-chinese-business-practices/
[1]eurasianet (Apr 11, 2018), Tajikistan: Chinese company gets gold mine in return for power plant, see: https://eurasianet.org/tajikistan-chinese-company-gets-gold-mine-in-return-for-power-plant
[1] Dirk van der Kley, (April 14, 2018), *The Full Story Behind China's Gold Mine-Power Plant Swap in Tajikistan* , see: https://thediplomat.com/2018/04/the-full-story-behind-chinas-gold-mine-power-plant-swap-in-tajikistan/
[1] SONG Yu (September 28, 2012) TBEA Tajikistan builds thermal power station for gold mine, see: http://epaper.stcn.com/paper/zqsb/html/2012-09/28/content_408467.htm
[1] sputniknews (06.01.2015) ТВЕА получила золотые рудники за постройку ТЭЦ, see: https://tj.sputniknews.ru/economy/20150106/1013839835.html
[1] Kamila Ibragimova (Oct 24, 2019), Tajikistan: Another Chinese company gets tax exemptions, see: https://eurasianet.org/tajikistan-another-chinese-company-gets-tax-exemptions
[1] BBC NEWS (13 January 2011), Tajikistan cedes land to China, see:https://www.bbc.com/news/world-asia-pacific-12180567
[1] Copyright © 2019 International Republican Institute see: pg.48 https://www.iri.org/sites/default/files/chinese_malign_influence_report.pdf
[1] The Guardian (23 Sep, 2019) see: https://www.theguardian.com/global-development/2019/sep/23/gambia-joy-gives-way-to-sinking-distrust-adama-barrow-clings-to-power
[1] Copyright © 2019 International Republican Institute see: pg.48 https://www.iri.org/sites/default/files/chinese_malign_influence_report.pdf
[1] Transparency International Anti-Corruption Helpdesk Answer, Author(s): Kaunain Rahman, tihelpdesk@transparency.org Reviewer(s): Samuel Kaninda, Matthew Jenkins, Transparency International (22 January 2019) see pg.8: https://knowledgehub.transparency.org/assets/uploads/helpdesk/Gambia-overview-of-corruption-and-anti-corruption-2019_PR.pdf
[1] See: https://africanpowerplatform.org/resources/tenders/construction/805-design-and-build-of-transmission-infrastructure-between-brikama-and-kotu.html (https://projects.worldbank.org/en/projects-operations/procurement-detail/OP00061386?lang=en&id=OP00061386)
[1] The Fatu Network (August 28, 2018) Source Of The Money Deposited Into The Fatou Bah Barrow Foundation, see:https://fatunetwork.net/source-of-the-money-deposited-into-the-fatou-bah-barrow-foundation/

[1] See: https://fatunetwork.net/

[1] The Fatu Network (September 28, 2020) see: https://fatunetwork.net/after-giving-35-million-dalasis-to-first-ladys-foundation-tbea-now-wins-contract-worth-over-one-billion-dalasis/

[1] The Fatu Network (September 28, 2020) see: https://fatunetwork.net/after-giving-35-million-dalasis-to-first-ladys-foundation-tbea-now-wins-contract-worth-over-one-billion-dalasis/

[1] See: https://www.bloomberg.com/profile/person/3930856

[1] China Daily, (November 14, 2012) Power transmission, new-energy eye overseas growth, see: http://www.china.org.cn/china/18th_cpc_congress/2012-11/14/content_27111987.htm

[1] Tinatin Khidasheli, Ani Kintsurashvili (jul, 2020), who is in charge of the post cold war world , See: https://civicidea.ge/wp-content/uploads/2020/09/Tinatin-Khidashedli-China-Report.pdf

[1]Dafa Practitioner in Xinjiang Autonomous Region (March 23, 2004) China, Xinjiang Tebian Electric Corporation Teams Up with Changji Forced Labor Camp to Make Products with Slave Labor, see: http://en.minghui.org/html/articles/2004/3/23/46339.html?fbclid=IwAR3Fe66dYRKY6jASWN3JHZ3hOP_OhGHIU5Exp_teRMZmFZ2ylO1NpftZfAg









ჩვენი გუნდი

გაიცანით ადამიანები,
რომლებიც ჩვენს საოცარ გუნდს ქმნიან

თინა, ანი, მარი

საზოგადო რადიო

National Endowment for Democracy
Supporting freedom around the world

International Republican Institute
IRI
advancing democracy worldwide

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION

ავტორების მიერ გამოთქმული მოსაზრებები, განცხადებები და კომენტარები, ეკუთვნის მხოლოდ მათ და არ ასახავს ფონდების პოზიციას. შესაბამისად, არც ერთი დამხმარე ორგანიზაცია პასუხისმგებელია ინფორმაციული მასალის შინაარსზე.

ანგარიშზე პასუხისმგებლები არიან ანი კინწურაშვილი & მარიამ უსენაშვილი